საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030116160646419

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/7507 **25 / აპრილი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 28 იანვრის N10 დადგენილებაში გათვალისწინებულია სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ავტომანქანებისათვის სამედიცინო აპარატურისა და ცენტრის ახალი ოფისებისათვის ავეჯის შესყიდვა. აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად, საჭიროა „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 27 04) ფარგლებში განხორციელდეს ცვლილება და „არაფინანსური აქტივების ზრდა“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური